სომხეთის სახელმწიფო არქივში დაცული დოკუმენტები საქართველო-სომხეთის სასაზღვრო დავასთან დაკავშირებით

2021 წლის 21 ივნისიდან 15 სექტემბრის ჩათვლით ევროკავშირის ჩარჩო-პროგრამა „ჰორიზონტი 2020“-ის საგრანტო პროექტის ფარგლებში პროფესორი თამაზ ფუტკარაძე იმყოფებოდა სომხეთის დედაქალაქში, რამაც მისცა შესაძლებლობა გაცნობოდა არქივებსა და წიგნსაცავებში დაცულ რუსულენოვან დოკუმენტურ მასალებს საქართველოს შესახებ. ვფიქრობთ, რომ **ზოგიერთი დოკუმენტი სიახლეა ქართული სამეცნიერო წრეებისათვის, განსაკუთრებით ის მასალები, რომლებიც დაკავშირებულია ამ ორ მეზობელ რესპუბლიკას შორის არსებულ სასაზღვრო დავებთან 1918-1920 წლებში**. ეს **დუკუმენტები გამოვაქვეყნეთ ჟურნალ „არხეიონის“ 22-ე ნომერში, მაგრამ იგი გამოვიდა მცირე ტირაჟით, ინტერესი და მოთხოვნილება კი საკმაოდ დიდი იყო. ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ აღნიშნული დოკუმენტების ხელახლა გამოქვეყნება**.

ქრონოლოგიურად იგი მოიცავს პერიოდს 1920 წლის დეკემბრიდან 1921 წლის იანვრამდე. მკითხველს ვთავაზობთ აღნიშნულ დოკუმენტებს .

სომხეთის ისტორიული არქივი

ფონდი 114, ანაწერი 2 ს.
სომხეთის სსრ. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი
(მასალები მიოძია, თარგმნა და ჩამოიტანა თამაზ ფუტკარაძემ)

1920 წელი
შეთანხმება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და სომხეთის რესპუბლიკას შორის ბორჩალოს უეზდის ნეიტრალურ ზონაში ქართული ჯარის დროებითი შეყვანის თაობაზე

სომხეთში ანგორის მთავრობის თურქული ჯარების შეტევის გათვალიწინებით, ნეიტრალურ ზონაში შექმნილი საფრთხეებიდან, ასევე საქართველოს უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის წინადადებით და ზემოთხსენებული მთავრობების უფლებამოსილებით – საქართველოს მხრიდან: სამხედრო მინისტრის გ. ს. ლორთქიფანიძის და საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგის კ. საბახტარაშვილის, ხოლო სომხეთის რესპუბლიკიდან – დელეგაციის თავმჯდომარის ს. მამიკონიანის სახით და ტ. ბეკზადიანის, ს. ხაჩატურიანის მონაწილეობით ვთანხმდებით შემდეგზე:

1. საქართველოს მთავრობის წინადადებით სომხეთის მთავრობა იძლევა თანხმობას ნეიტრალურ ზონაში ქართული ჯარების შეყვანის შესახებ;
2. ქართული ჯარების ყოფნა ნეიტრალური ზონის ტერიტორიაზე არ იძლევა არავითარ უფლებას ამ ტერიტორიების კუთვნილებაზე;
3. ადმინისტრაცია რჩება უცვლელი;
4. ჯარებისათვის საჭირო პროდუქტები შესყიდული იქნება თავისუფალ ფასებში რეკვიზიციის გამოყენების გარეშე;

5. აუცილებლობის შემთხვევაში ნეიტრალურ ზონაში სომხეთიდან შეშვებული იქნებიან ლტოლვილები დაახლოებით 10 000 კაცამდე;
6. სომხეთის მთავრობის სახელმწიფო საკუთრება დაუყოვნებლივ უნდა იქნას დაცული ნეიტრალურ ზონაში. ეს ქონება ეკუთვნის სომხეთის მთავრობას და მოთხოვნის შემთხვევაში მას უნდა დაუბრუნდეს;
7. ამ შეთანხმების პირობების შესრულების კონტროლისათვის ნეიტრალურ ზონაში დაინიშნება სომხეთის მთავრობის განსაკუთრებული უფლებამოსილებით წარმოდგენილი პირი;
8. ეს ხელშეკრულება ფორმდება სამი თვით, რის შემდეგაც შესაძლებელია მისი გაგრძელება ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე. თუ არ შედგება ახალი შეთანხმება, მაშინ ძალას კარგავს ეს შეთანხმება, ქართული ჯარი გადის ნეიტრალური ზონიდან და აღდგება ძველი მდგომარეობა.
9. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის მომენტიდან და დგება ორ ეგზემპლარად საერთო ხელმოწერით.

13 ნოემბერი, 1920 წელი, თბილისი
სომხეთის ცსა, ფონდი 114, ს. 56, ან. 2ს, ფურც. 47

***

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს

ნეიტრალური ზონის შესახებ1919 წლის იანვრის სომხეთ-საქართველოს ხელშეკრულებით ზუსტად განისაზღვრა საზღვრები და მმართველობის საკითხები ყოველი მომლაპარაკებელი მხარის მიერ.

1. 1928 წ. 31 დეკემბერს, 24 საათში ქართველების მიერ დაკავებული დამაკავშირებელი პუნქტების ხაზი უნდა გადიოდეს ბორჩალოს უეზდის ნეიტრალური ზონის ჩრდილოეთ საზღვარზე;
2. ეს ხაზი უნდა განვიხილოთ, როგორც ბორჩალოს უეზდის ნეიტრალური ზონის ჩრდილოეთი საზღვარი – ადგილებზე მიმართულებათა ცვლილებამდე სოფლის მაცხოვრებლების მიერ მიწის დამუშავებასთან დამოკიდებულებით.

ლეგლი-დარის მთა-სოფელ ირგანჩაის მთიანი ფერდის პირდაპირი ხაზი – 798 მ. სიმაღლის. სოფელი ჯანდარი-სიმაღლე 735 მეტრი, სოფელი აკ კერპი სიმაღლე 694 მეტრი, პირდაპირი ხაზი სოფ. ოპრეტამდე – სიმაღლე 492 მ. სოფ. კოჯორის, ვარდაზორის დაშლილი ეკლესია, სოფ. სადახლო, მთიანი ქედი 1554, სადახლოდან ჩრდილოეთით, შემდეგ 2660 მეტრი სიმაღლემდე-ტაპადარის მთა, შემდეგ როდნიკი, ჩრდილოეთით კაჩ-კალას კლდეები და პოლუთლუბაშის მთები.

სოფელი ირგან-ჩაი, საატე, ჯანდარი, აკ-კერპი, ოპრეტი, კოჯორი, ვარდაზორი. სადახლო რჩება პროექტირებული ხაზის ჩრდილოეთით.

ძველი თურქული ხაზი განიხილება, როგორც ნეიტრალური ზონის სამხრეთი საზღვარი. ეს საზღვარი დადგენილია 1918 წ. 25 დეკემბერს. დოკუმენტზე ხელი აქვთ მოწერილი გენერალ რიკფორტს, პოლკ. შარდინს, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ჟორდანიას. ეს ხელშეკრულება ხელმოწე-

რილია სომხეთის რესპუბლიკის წარმომადგენლის მ. არუთუნიანის მიერ 1918 წ. 25 დეკემბერს, სოფელ კარაკლისში.

სამხრეთი მთა 10.304 ფუნტის, მდ. ოვდარისი, მდ. კარაკალა, პალიხ ჩაი-კამენკა ძორაკეტის (ბამბაკ-დებედა) ზევით ძორაკეტისაკენ ბაბადჟანის დაშვე-ბამდე. ზევით ბაბადჯანის, კარინჯას და მარჩემს შორის, შემოვბრუნდებით ჩრდილოეთისაკენ, ჩატინდარის მთისაკენ.

ნეიტრალური ზონის სოფლები:

1. ალავერდის უბანი. ვოლოსტი
   ა. ალავერდსკაია: ალავერდი, ზემო ახტალა, ქვემო ახტალა, ბედნიკი, შამ-ლუხი.
   ბ. შინიხსკაია: არჩეში, შნოგი.
   გ. ჩოკანსკაია: ჩოკანი
   დ. ლამბალინსკაია: კერპილი, ლამბალო, აირუმი.
2. უზუნლასრკის უბანი. ვოლოსტი
   ა. უზუნლარსკაია: აგვი, ამოჯი, არდვი, იკარატი, უზუნლარი
   ბ. ახპატსკაია: აკორი, ახრატი, ვორნაკი, სანაიანი, კარინჯი
   გ. მაგარტსკაია: კაცაგანი, მგარტი, ოვანდარა, ცატერი
3. ვორონცოვსკაია. ვოლოსტი
   ა. ვორონცოვსკაია: ვრონცოვსკაია, პრივოლნოე
   ბ. შახნაზაროვსკაია: კოტურ-ბულაგი, შახნაზარი
   გ. ურუტსკაია: აიდარბეკი, ურუტი;
   დ. ილმაზლინსკაია: ჯუჯანანტი, ილმაზლო, ირგან-ჩაი, კარაკალა, სოუხ-ბუ-ლაგი, ტეზაკენტი

ფონდი 114, საქმე 56, ან. 2ს , ფურც. 3,4

***

ბორჩალოს უეზდის ნეიტრალური ზონის კომისარიატი

9 ნოემბერი, 1920. № 585

ალავერდი

ნეიტრალური ზონის საუბნო კომისრებს

სომხეთის საზღვრებში თურქეთის შეტევის გათვალისწინებით, ნეიტრა-ლურ ზონაში შედის ქართული ჯარი თურქეთისათვის წინააღმდეგობის გასაწე-ვად იმ შემთხვევაში, თუ ისინი გეზს აიღებენ ნეიტრალური ზონისაკენ. მიზნად ვისახავთ ასევე ადგილობრივი მოსახლეობის დაცვას. წინადადებას გაძლევთ იმოქმედოთ ქართულ ჯართან ერთად. თქვენდამი რწმუნებულ უბნებში მოსახ-ლეობას აუხსენით, რომ ნეიტრალური ზონის მმართველობა რჩება იგივე, უფ-რო ზუსტად სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკების მთავარი კომისარია-ტის სახით.

ნეიტრალური ზონის კომისარი გ. ღლონტი

ფონდი 114, ანაწ. 2ს, საქმე 56

*****

მიმოწერები ნეოტრალური ზონის ტერიტორიულ საკითხებზე

ბორჩალოს უეზდის ნეიტრალური ზონის კომისარიატი.

13 ნოემბერი, 1920. N.586

ცირკულარულად

ბორჩალოს უეზდის ნეიტრალური ზონის უბნის ხელმძღვანელებს

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებით ნეიტრალურ ზონაში შედის ქართული არმიის ნაწილები – თურქეთის თავდასხმის შემთხვევაში მოსახლეობის დაცვის მიზნით. ნეიტრალურ ზონაში ცხადდება სამხედრო მდგომარეობა.

მთელი ადმინისტრაცია დაექვემდებარება დროებით გენერალ-გუბერნატორს.

კომისარიატი მოგიწოდებთ, შეასრულოთ გენერალ-გუბერნატორის მიერ გამოცემული ყველა ბრძანება. საუბნო კომისრებისათვის ბრძანების სწრაფად გადაცემის უზრუნველსაყოფად ზონაში შეყვანილ იქნას ორი ცხენოსანი მილიციონერი.

ნეიტრალური ზონის კომისარი გ. ღლონტი.

13 ნოემბერი, 1920

ფონდი 114, ან. 2 ს. საქმე 12, ფურც. 4

***

ბორჩალოს უეზდის ნეიტრალური ზონის კომისარიატი

16 ნოემბერი, 1920. № 623

ალავერდი

მთავარი კომისარიატი წინადადებას გაძლევთ აწარმოოთ სომეხი ლტოლვილების ზუსტი რეგისტრაცია თქვენდამი რწმუნებულ უბნებში და კომისარიატში წარმოადგინოთ სიები თითოეული სოფლის მიხედვით. ეს სიები გადაეგზავნება დახმარების ამერიკულ კომიტეტს ლტოლვილების სურსათით და პროდუქტებით უზრუნველყოფისათვის.

ნეიტრალური ზონის კომისრის მოადგილე კაპიტანი კაციტაძე

ფონდი 114, საქმე № 56, ფურც. 13

***

სომხეთისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროების ნოტები – საქართველოს მიერ სომხეთის საზღვრების დარღვევის შესახებ

სასწრაფოდ

17 ნოემბერი, 1920. № 4874.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს

ჩვენი ინფორმაციით, ქართული ჯარები შევიდნენ ქ. ჯელალოღლში – ნეიტრალური ზონის ტერიტორიაზე, რომელიც უდავოდ არის სომხური ტერიტორია. საჭიროდ ვთვლით გამოვხატოთ ენერგიული პროტესტი თქვენს მიერ სომხეთის სუვერენიტეტის ხელყოფისათვის. ეს შეიძლება განვიხილოთ, როგორც

მტრული მოქმედება სომხეთის წინააღმდეგ. ვიმედოვნებთ, რომ თქვენი ჯარები გავლენ სომხეთის ტერიტორიიდან, რომ მეგობარი საქართველო არ ისარგებლებს სომხეთის სირთულეებით.

ფონდი 114, ანაწ. 2ს, საქმე 11, ფურც. 1

***

სასწრაფოდ.

ერევანი. საგარეო საქმეთა მინისტრს

8 ნოემბრის № 6298 ნოტის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობა ითვალისწინებს ქემალ ფაშას ჯარების ბოლოდროინდელ მოძრაობას და აქედან გამომდინარე საშიშროებას.

სომხეთსა და თურქეთს შორის საბრძოლო მოქმედებების შემთხვევაში გადავწყვიტეთ უშუალოდ, ნეიტრალური ზონის მეზობლად გავაძლიეროთ საზღვრების დაცვა ნეიტრალური ზონის ჩრდილოეთ ნაწილში და დავიწყოთ მოლაპარაკებები სომხეთთან ნეიტრალური ზონის სრულად დაკავებაზე. თქვენი გენერლის კარალოვის განცხადება იმის შესახებ, რომ თითქოსდა საქართველომ გადაწყვიტა დაიკავოს ნეოტრალური ზონა სომხეთთან მოლაპარაკების გარეშე, ეფუძნება გაუგებრობას. ჩვენ არ გვინდა ვისარგებლოთ თქვენი სირთულეებით. ჩვენ გვინდა მხოლოდ საკუთარი უსაფრთხოება. მზად ვართ მოლაპარაკებისათვის

საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა ერევანში

ფონდი 114, საქმე 11. ფურც. 2

***

1920 წ. 25 ნოემბერი

სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს საქართველოს მთავრობაში

23 ნოემბრის ნოტასთან დაკავშირებით, გთხოვთ მოგვაწოდოთ თურქეთის ულტიმატუმის პირობების ტექსტი. მაშინ, როცა ნოტაზე პასუხი არ მიგვიღია, საქართველოს მთავრობამ მიიღო სრულიად სანდო ინფორმაცია, რომ სომხეთის მთავრობამ შეთანხმების საფუძველზე მიიღო თურქეთის ულტიმატუმის პირობები, რომელშიც წერია, რომ თურქეთის მიერ უნდა გაიწმინდოს ბორჩალოს უეზდის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი ნეიტრალური ზონის – ვორონცოვკის ხაზიდან სოფელ ნალბანდამდე, ასევე ბორჩალოს უეზდის სამხრეთი ნაწილი და მესამე ულტიმატუმის პირობებით ნეიტრალურ ზონაში, სანაიანის სადგურზე დაშვებული უნდა იქნას თურქეთის საკონტროლო კომისია.

სომხეთმა მიიღო ეს პირობები არა მხოლოდ საქართველოსთან შეუთანხმებლად, არამედ არც კი გვაცნობა ამის შესახებ. ამასთან, თურქეთის ულტიმატუმის პირობების მიღებით ბორჩალოს უეზდში შეიქმნა ახალი სიტუაცია. მესამე ძალის შემოსვლამ გაართულა საქმე. ამიტომ, საქართველო აცხადებს კატეგორიულ პროტესტს და იძულებული ვართ მივიღოთ ყველა საჭირო ზომა საკუთარი საზღვრების დასაცავად, ასევე ბორჩალოს უეზდზე ჩვენი ინტერესების დასაცავად. ეს სომხეთის მთავრობის მიერ არ უნდა იქნას აღქმული მის წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯად.

ფონდი 114, საქმე 11. ფურც. 3

***

ბორჩალოს უეზდის ნეიტრალური ზონის კომისარი

30 ნოემბერი, 1920. № 25

კვლავ ვადასტურებ: 1. დამოკიდებულებას 28.ს/მ, № 16

გთხოვთ, სამხედრო მდგომარეობა და გენერალ-გუბერნატორის ხელისუფლება გამოაცხადოთ უმოქმედოდ და არ აღიაროთ ადმინისტრაციული ხელისუფლების დაქვემდებარება გენერალ-გუბერნატორისადმი, რის შესახებაც აცნობოთ ქვემდებარე პირებს.

თქვენს ყურადღებას გავამახვილებ იმაზე, რომ სანაიანიდან 1,5-2 ვერსტში ადგილი ჰქონდა უზუნლარელების შეტაკებას ქართველ ჯარისკაცებთან. ძმები – გლეხი კოსტანიანები დააპატიმრეს. ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება შეთანხმების პირობებს ადმინისტრაციის უცვლელად შენარჩუნების შესახებ. ჩემი დაჟინებული მოთხოვნით ძმები კოსტანიანები გაათავისუფლეს.

ფონდი 114, ან. 2ს., საქმე № 56, ფურც. 37

****

პრედჩეკა, ამხ. აივაზოვს

7 დეკემბერი, 1920

წინადადებას გაძლევთ დაუყოვნებლივ აიყვანოთ შინაპატიმრობაში საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი სომხეთში და მთელი მისი თანამშრომლები

პრედრევკომი კასიანი

ფონდი 114, ან. 2ს., საქმე 23, ფურც. 1.

***

სასწრაფოდ

ერევანი. რევკომის თავმჯდომერე კასიანს!

თქვენი 1920 წ. 7 დეკემბრის ნოტის პასუხად, საქართველოს მთავრობის სახელით გაცნობებთ: თქვენი განცხადება, რომ თითქოს დავაკავეთ აზერბაიჯანიდან სომხეთისაკენ მომავალი ტრანზიტული ტვირთები, არ შეესაბამება სიმართლეს. ტრანზიტული ტვირთები გადაადგილდება შეუფერხებლად.

მეორე, საქართველოს მთავრობამ ნეიტრალურ ზონაში ჯარები შეიყვანა სომხეთ-საქართველოს 13 ნოემბრის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

მესამე, საქართველოს მთავრობამ დამფუძნებელი კრების 7 დეკემბრის დეკლარაციით განაცხადა, რომ იგი დაიცავს ყველა შეთანხმებას, მათ შორის სომხეთ-საქართველოს შორის გაფორმებულ შეთანხმებასაც

10 დეკემბერი, 1920.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე საბახტარაშვილი

ფონდი 114, საქმე 23, ფურც. 10

***

რევკომის თავმჯდომერეს კასიანს

ერევნიდან მიღებული სარწმუნო ცნობებით, სომხეთში საქართველოს წარმომადგენელი გენერალი კარალოვი და მისიის მდივანი პოლკოვნიკი მიქაბე-

რიძე აიყვანეს შინაპატიმრობაში 1920 წ. 7 დეკემბერს. ეს ფაქტი ჩვენს მიერ განხილულია, როგორც სომხეთის მხრიდან მტრული მოქმედება და ვაცხადებთ ენერგიულ პროტესტს. მოვითხოვთ მათ დაუყოვნებლივ გათავისუფლებას.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე საბახტარაშვილი

10 დეკემბერი, 1920

ფონდი 114, ან. 2ს, საქმე 12, ფურც. 5

****

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს

ჩვენი ინფორმაციით ნეიტრალურ ზონაში შემოიღეთ გენერალ-გუბერნატორობა. იმის გათვალისწინებით, რომ 13 ნოემბრის შეთანხმებით ნეიტრალურ ზონაში ადმინისტრაცია რჩება არსებულ საფუძველზე, გენერელგუბერნატორობა არ შეიძლება დაწესდეს ხელშეკრულების დარღვევის გარეშე. გთხოვთ გვაცნობოთ, რამდენად შეესაბამება ეს ინფორმაცია სიმართლეს.

დიპლომატიური წარმომადგენლობა.

საქართველოში სომხეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის საქმის მწარმოებელი

ფონდი 114, , ან. 2ს, საქმე 12, ფურც. 6

****

ტელეგრამა

თფილისი, სანაიანის ქართული ჯარების სარდალს

23 ნოემბერს ქართული ჯარები შევიდნენ ნეიტრალურ ზონაში და დაიკავეს სომხეთის უდაო ტერიტორიები სადგურ შაგალამდე, რითაც დაირღვა 13 ნოემბრის შეთანხმება. ეს ნაბიჯი არ ემსახურება მეზობელი ქვეყნების მეგობრულ ურთიერთობებს.

სომხეთის რესპუბლიკის ჯარების სახელით გამოვხატავ პროტესტს

ნეიტრალურო ზონის საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე მელიქოვი

ფონდი 114, ან. 2ს, საქმე 12, ფურც. 9

***

კარაკლისის უეზდის რევკომის წევრის ერვანდ აირაპეტიანის მოხსენება უეზდში სამხედრო მდგომარეობის შესახებ

ქართული ჯარის ნაწილები 3 ათასი კაცის შემადგენლობით იმყოფება სოფ. ვორონცოვკიდან სოფ. შაგალის ჩათვლით. სომხეთის ტერიტორიაზე – სოფ. შაგალიდან ჯალალოღლამდე იმყოფება დაახლოებით 800 კაცი. ქართული ჯარი შედგება ნებაყოფილებით დაქირავებული სომხებისგან, რუსებისგან (2000 კაცი) და წითელარმიელი ქართველებისაგან (100 კაცი).

ნებაყოფილებით დაქირავებული ჯარი მზადაა ჩვენ შემოგვიერთდეს. ამდენად, ბრძოლა მოგვიწევს მხოლოდ წითელარმიელებთან.

1-დან 10 დეკემბრამდე ჩავატარეთ ერთი პარტიული და ორი უპარტიო ყრილობა. გლეხობამ გამოხატა მზადყოფნა შეუერთდეს საბჭოთა სომხეთს. აჯანყების შემთხვევაში ისინი დაგვეხმარებიან ცოცხალი ძალით, სურსათითა და პროდუქტებით. პარტია აყალიბებს კომუჯრედებს ყველა სოფელში. ჩვენ

ორგანიზება გავუკეთეთ თავდაცვის ძალებს ყველა სოფელში 50-200 კაცის შემადგენლობით.

გლეხებმა უარი თქვეს ქართული ჯარისისათვის დახმარების გაწევაზე. ამ საფუძველზე, გლეხებსა და წითელარმიელებს შორის სოფ. შიხინაში 12 დეკემბერს მოხდა შეტაკებაც. იყო სროლები.

სოფ. უზუნლარში დღემდე გრძელდება დაპატიმრებები და დევნა.

12 დეკემბერს ხელთ ვიგდეთ ხელმძღვანელობის საიდუმლო ტელეგრამა, რომლიდანაც ჩანს, რომ ისინი აპირებენ სომხეთის სიღრმეში მათი ჯარის გადმოსროლას.

ჩვენი ორგანიზაცია მომზადებულია აჯანყებისათვის, მაგრამ იმის გამო, რომ საქართველოსთან მიმართებაში ყველა ჩვენი აგრესიული მოქმედება შეთანხმებული უნდა იყოს ჩვენს საერთო პოლიტიკასთან, ველოდებით ინსტრუქციას სომხეთის რევკომისაგან.

17 დეკემბერი, 1920

ფონდი 114, ან. 2ს., საქმე 26, ფურც. 1,2

****

თბილისი

საქართველოს დემოკრატიული ესპუბლიკის საგარეო საწმეთა მინისტრს

თქვენი 10 დეკემბრის № 10725 ტელეგრამის პასუხად, სომხეთის რევკომის სახელით გაცნობებთ:

პირველი – სომხეთის რევკომს არ შეუძლია ცნოს საქართველო-სომხეთის 1920 წლის 13 ნოემბრის შეთანხმება. პირადად ჩვენს მიერ, წამოყენებული იქნა წინადადებები კონკრეტული ღონისძიებების გასატარებლად ქართული ჯარის ნეიტრალური ზონიდან გაყვანის შესახებ – დეკემბრის თვიდან;

ფორმალურად, თქვენი მთავრობა აპელირებს შეთანხმებაზე, რომელიც თქვენვე დაარღვიეთ ქართული ჯარის მიერ ნეიტრალური ზონის საზღვრების გადალახვით, რომლებიც იმყოფებიან სომხეთის ტერიტორიაზე;

მეორე: მოხდა ნეიტრალური ზონის შიგა წესრიგის ადმინისტრაციულ წყობაში ჩარევა – სომეხი მოსამსახურეების დათხოვნისა და ქართველებით მათი ჩანაცვლების გზით;

მესამე – დამსჯელი ექსპედიციის გაგზავნა სომხური სოფლების წინააღმდეგ და სროლები, რასაც ჰქონდა ადგილი შინიხში.

13 ნოემბრის შეთანხმება თავისი არსით მოკლებულია ყოველგვარ იურიდიულ ძალას, რადგან იგი ატარებს სამხედრო-სტრატეგიულ ხასიათს და განსაზღვრულ მომენტში ჩვენი ურთიერთობის ინტერესებიდან გამომდინარე მისაღები იყო დაშნაკების ხელისუფლებისათვის, მაგრამ სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეს შეთანხმება კარგავს ძალას. ამიტომ სომხეთის რევკომმა მოახდინა მისი ანულირება და მოითხოვს ნეიტრალური ზონიდან ქართული ჯარების გაყვანას.

სომხეთის სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ა. ბეკზადიანი,

18 დეკემბერი, 1920

ფონდი № 114, ან. 2ს., საქმე 26, ფურც. 4

****

სომხეთის სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ა. ბეკზადიანს თბილისიდან

თქვენი 18 დეკემბრის ტელეგრამა № 85-ის პასუხად საჭიროდ ვთვლით გაცნობოთ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას არ შეუძლია დაეთანხმოს სომხეთის რევკომის გადაწყვეტილებას ბორჩალოს უეზდის ნეიტრალურ ზონებთან დაკავშირებით გაფორმებული 13 ნოემბრის ხელშეკრულების სრულად ანულირების თაობაზე. ანულირება არ უნდა მოხდეს ცალმხრივი აქტით. მისი გაფორმება მოხდა სომხეთის ყოფილ ხელისუფლებასთან. თუ სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების გამო უნდა დაისვას ამ შეთანხმების ანულირების საკითხი, მაშინ ამავე საფუძვლით ყველა დანარჩენი ხელშეკრულებაც უნდა გაუქმდეს, რომელსაც მოაწერა ხელი საქართველომ სომხეთის ყოფილ ხელისუფლებასთან.

უნდა აღინიშნოს, რომ ის ხელშეკრულება არ იყო განპირობებული არანაირი ფაქტობრივი გარემოებებით და დადო გარკვეული ვადით. საქათველოს მთავრობა მხარს უჭერს ყველა სადაო საკითხის გადაჭრას მშვიდობიანი გზით. ჩვენ არ დაგვირღვევია 13 ნოემბრის ხელშეკრულება. გთავაზობთ, დაუყოვნებლივ შევუდგეთ ამ საკითხების ერთობლივ განხილვას სპეციალური უფლებამოსილი წარმომადგენლების დელეგირების გზით. მეორეც, კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ სატელეფო ხაზები საქართველოს ტერიტორიაზე სრულად გამართულია და ჩვენი მხრიდან არავითარი წინაღობა არაა ერევანთან კავშირისათვის

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე საბახტარაშვლი

ფონდი № 114, ან. 2ს., საქმე 26, ფურც. 5

***

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს

სომხეთის რევკომის სახელით გაცნობებთ შემდეგს: სომხეთის რევკომს არ შეუძლია ცნოს თქვენი მთავრობის აპელირება 1920 წ. 13 ნოემბრის შეთანხმებაზე. ფორმალური მხარე სრულად გამორიცხავს თქვენი მთავრობის ყოველგვარ უფლებას აპელირებდეთ შეთანხმებაზე – ქართული ჯარის მიერ საზღვრის გადაკვეთისა და ნეიტრალური ზონის რიგი პუნქტების დაკავების შესახებ, რადგან ეს არის სომხეთის უდავო ტერიტორიის ნაწილი. მიუღებელია ნეიტრალური ზონის ადმინისტრაციულ წყობაში ჩარევა, ნეიტრალური ზონიდან სომეხი მოსამსახურეების დათხოვნა და ქართველებით ჩანაცვლება. მესამეც, მიუღებელია სადამსჯელო ექსპედიციის მიერ სომხური სოფლების შევიწროება, რომელსაც ჰქონდა ადგილი შინიხაში.

ამიტომ, ის შეთანხმება სომხეთის რევკომის მიერ სრულად ანულირებულია და მოვითხოვთ ნეიტრალური ზონიდან ქართული ჯარის დაუყოვნებლივ გაყვანას.

სომხეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი. 18 დეკემბერი, 1920.

ფონდი № 114, საქმე 42, ფურცელი 3

***

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს

სომხეთის მთავრობა იძულებულია კვლავ მიგითითოთ იმ მდგომარეობაზე, რომელიც სრულად გამორიცხავს თქვენს მიერ 13 ნოემბრის შეთანხმების ზუსტად შესრულებას. ასეთი მოსაზრება არ შეიძლება იქნას მიღებული სომხეთის მთავრობის მიერ, რადგან საყოველთაოდ ცნობილი დოკუმენტურად დადგენილი ფაქტებით დასტურდება, რომ ხელშეკრულების პირველი დღიდანვე თქვენ დაარღვიეთ შეთანხმება. თქვენი ჯარები შევიდა ნეიტრალურ ზოაში, დაიკავა კალაგერანი, შაგალი, ჯელალოღლი, ნიკოლაევკა და სხვა პუნქტები, რომლებიც უდავოდ არის სომხეთის ტერიტორია.

მიუღებელია ჩვენთვის ქართველი კომენდანტის დანიშვნა, სომეხი მოსამსახურეების დათხოვნა, 19 ნოემბერს აპარატის კაბინის დაკავება კალაგერანის სადგურში, ტელეგრაფისტების უმიზეზოდ და უსაფუძვლოდ დაპატიმრება, სადამსჯელო ექსპედიციები სომეხი გლეხების წინააღმდეგ სოფელ შინიხში.

სომხეთის მთავრობა ვერ დაეთანხმება 13 ნოემბრის შეთანხმებას, რადგან იგი არ ეფუძნება არავითარ ფაქტობრივ გარემოებებს. ქართული ჯარების ყოფნა ნეიტრალურ ზონაში კარგავს ყოველგვარ გამართლებას.

ჩვენი მთავრობა მზადაა დასვას ეს საკითხი განსახილველად. ჩვენი მთავრობა თვლის, რომ ამ პუნქტებიდან თქვენი ჯარები დაუყოვნებლივ უნდა იქნას გაყვანილი, რადგან ეს სომხური ტერიტორიებია.

სომხეთის სსრ-ის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ა. ბეკზადიანი

27 დეკემბერი, 1920

ფინდი № 114, საქმე 26, ფურც. 7

***

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, კოპია გუსეინოვს (ბაქო)

ვადასტურებ 21 დეკემბერს თქვენი ტელეგრამის მიღებას. სომხეთის მთავრობა იძულებულია ყურადღება გაამახვილოს იმ მდგომარეობაზე, რომ ის საერთოდ გამორიცხავს 13 ნოემბრის შეთანხმებაზე აპელირების ყოველგვარ შესაძლებლობას. ეს ხელშეკრულება სრულად ანულირებულია. თქვენი მთავრობის ფორმალური მტკიცებულებას, რომ იცავთ 13 ნოემბრის შეთანხმებას, სომხეთი ვერ მიიღებს. საყოველთაოდ ცნობილია და დადგენილია ფაქტებით, რომ თქვენი ჯარები შეთანხმებას პირველი დღიდანვე არღვევენ. მათ დაარღვიეს ნეიტრალური ზონის საზღვრები და დაიკავეს კალაგერანი, ნიკოლაევკა და სხვა პუნქტები, რომლებიც არის სომხეთის უდავო ტერიტორია. თქვენ დანიშნეთ კომენდანტი, გაუშვით სომეხი მოსამსახურეები და ისინი ჩაანაცვლეთ ქართველებით, 19 ნოემბერს დაიკავეთ სამუშაო ოთახები სადგურ კალაგარენში, უმიზეზოდ დააპატიმრეთ სადგურის ტელეგრაფისტები – გარეგინ ტერ არუთინოვი, ამბარცუმ პეტროსიანი, არტაშეს შავერდოვი... ბოლოს შევიდა დამსჯელი ექსპედიცია სომეხი გლეხების წინააღმდეგ შენიხის სოფლებში.

ჩვენ ვერ დავეთანხმებით 13 ნოემბრის შეთანხმებას, რადგან იგი არ ეფუძნება არავითარ ფაქტობრივ გარემოებებს.

მოვითხოვთ, უკანონოდ დაკავებული ყველა პუნქტიდან თქვენი ჯარების გაყვანას, რადგან ეს არის სომხეთის ტერიტორიის ნაწილი.

სომხეთის სს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი

ფონდი № 114, საქმე 42, ფურც.4

***

1921 წელი

ერევანი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისატიატი, ბეკზადიანს

1920 წ. 29 დეკემბრის თქვენი ნოტის პასუხად გაცნობებთ: თანახმა ვართ თქვენს წინადადებაზე დავიწყოთ მოლაპარაკება ბორჩალოს უეზდის სამხრეთ ნაწილსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე. პრინციპში არ ვეწინააღმდეგებით რსფსრ-ს მონაწილეობასაც.

სარწმუნო ცნობების საფუძველზე ვაცხადებთ, რომ ჩვენს მიერ ბორჩალოს უეზდის სამხრეთი ნაწილის დაკავება წარიმართა უმტკივნეულოდ, ექცესების გარეშე. პირიქით, ადგილობრივი მოსახლეობა კმაყოფილი იყო, რადგან ქართული ჯარის შესვლამ შეაჩერა ლტოლვილების ტალღა და დაცარიელებული სოფლები კვლავ შეივსო მოსახლეობით. იქ დასაქმებულმა სომეხმა მოსამსახურეებმა – სომხეთში მიმდინარე მოვლენების გათვალისწინებით, ყოველგვარი იძულების გარეშე დატოვეს ეს ადგილები და წავიდნენ სომხეთში.

ჩვენ არ გაგვიგზავნია არც ერთი დამსჯელი ექსპედიცია. პირიქით, ვიცავდით მოსახლეობას და 11 დეკემბერს მძარცველებს უკან დავაბრუნებინეთ გატაცებული საქონელი. განმეორებითი ძარცვა განხორციელდა 11 და 15 დეკემბერს სოფელ არჩიკში. მოსახლეობის თხოვნით იქ შევიდა ჩვენი ქვედანაყოფი და დაიცვა ისინი.

რაც შეეხება აპარატების ოთახების დაკავებას სადგურ კალაგერანში და ტელეგრაფისტების დაპატიმრებას, ეს იყო გარდაუვალი და აუცილებელი ღონისძიება განპირობებული სამხედრო მოსაზრებებით, რადგან გვქონდა ინფორმაცია, რომ ეს ტელეგრაფისტები გარეულნი იყვნენ უცხო ქვეყნის აგენტურაში და აწვდიდნენ ცნობებს ჩვენი ჯარების განლაგების შესახებ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე საბახტარაშვილი

5 იანვარი, 1921 წელი

ფონდი № 114, ან. 2 ს., ს.11, ფურც. 16

*****

ერევანი

საბჭოთა მისიით კარალიკისიდან

ცვლილება ქართულ ჯარში არაა. ვორონცოვკიდან ეკატერინფელდამდე და ეკეტერინფელდში ქართული ჯარი არაა. ჯერ ვერ გავარკვიეთ რომელი გზიდან იღებენ სურსათს და იარაღს. ჯარის ნაწილი იმყოფება ლორეს სტეპებში. ვვარაუდობ, რომ ეს ჯგუფი ბაზირდება შულავერში – შულავერი-ოპრეტი-ჯელალოღლის ხაზზე, რაც მტკიცდება ოპრეტში 30 ჯარისკაცისა და ერთი ოფიცრის ჩამოსვლით. შულავერში ქართული ჯარი არაა, სადახლოში კი ბევრი კავალერისტია. ზუსტად

გავარკვიეთ, რომ ეკატერინფელდსა და შულავერში მდგარი სახალხო გვარდია გადაისროლეს წითელი ხიდის მიმართულებით. დაპატიმრებულებს ხვრეტენ გაქცევის მცდელობის საბაბით.

სამხედრო ხელმძღვანელი ოსიპიანცი.

8. 01. 1921

ფონდი № 114, საქმე 11, ფურც. 7

***

ხატისიანის ჩანაწერი

ჩვენთვის სასარგებლოა საქართველოსთან დავსვათ არა მარტო ნეიტრალურ ზონის, არამედ სასაზღვრო დავის ყველა სხვა საკითხი

ჩვენთვის კარდინალური საკითხია ზღვაზე გასასვლელი. ასეთად ითვლებოდა ადრე ალექსანდრეტა, შემდეგ ტრაპიზონი, რიზე და ბოლოს ბათუმი. ბათუმის გარდა სხვა ვარიანტები უნდა უარვყოთ, რადგან ისინი განუხორციელებელია. ალექსანდრიეტზე არ ღირს საუბარი. რაც შეეხება შავი ზღვის პორტებს, ტრაპიზონი და რიზე უარყოფილ უნდა იქნას, როგორც განუხორციელებელი. ცხადია, რომ სომხეთს არ აქვს შესაძლებლობა გამონახოს კოლოსალური კაპიტალი ამ გზის მშენებლობისათვის.

კერძო კაპიტალი ააშენებს მხოლოდ შედარებით იაფ და შემოსავლიან გზებს. ჩვენს მოთხოვნებს აკმაყოფილებს აღმოსავლეთით მდებარე შავი ზღვის პორტი – ბათუმი. ეს პირველი. მეორეც – რკინიგზის გაყვანა ტრაპიზონიდან ან რიზედან ერზრუმში დაკავშირებულია დიდ სირთულეებთან და მოითხოვს კოლოსალურ ხარჯებს. ტრაპიზონიდან ერზრუმამდე – ოთხ მთაზე უნდა გაიჭრას 25 ვერსზე მეტი სიგრძის გვირაბები, ხეობების გადასალახად გაკეთდეს აკვადუკები. რიზედან მშენებლობის შემთხვევაში სირთულეებს ქმნის პონტოს ქედის კლდოვანი ქანები და საჭირო იქნება გვირაბების გაჭრა 6000 ფუტზე მეტ სიმაღლეზე, რაც ძალზე ძნელია.

თუ კი არსებულს ბათუმს მივუმატებთ, რიზესთან და ტრაპიზონთან შედარებით – ცხადია აქვს უპირატესობა. ეს არის ერთადერთი შესაძლო გასასვლელი ზღვაზე. ერთადერთი სარკინიგზო ხაზი სომხეთიდან გავა ჭოროხის ხეობის გავლით. ეს გზა მოკლეა ყველა სხვა ვარიანტთან შედარებით. გვირაბებისა და აკვადუკების გარეშე სომხეთი დაუკავშირდება ზღვას არა ერზრუმის დაცარიელებული რაიონების, არამედ სომხებით დასახლებული ყარს-ალექსანდროპოლის გავლით. ეს გზა 200 ვერსით მოკლეა ტრაპიზონის და 100 ვერსით მოკლე ბათუმი-თბილისი-ჯულფის მიმართულებაზე. ამდენად ბათუმი-ყარსი-ჯულფას ხაზი იქნება მსოფლიო მნიშვნელობის მაგისტრალი შავი და ხმელთაშუა ზღვების აუზებიდან, ასევე რუსეთიდან – შუა აზიის, სპარსეთის ყურისა და ინდოეთისაკენ. ასეთ შემთხვევაში არავინ დაიწყებს ადგილობრივი მნიშვნელობის გზის მშენებლობას.

საქართველოსთან მოლაპარაკებისას საჭირო უზრუნველვყოთ ბათუმის პორტის ტექნიკურ საკითხებში მონაწილეობა და მივაღწიოთ ჭოროხის მარცხენა სანაპიროს, ე.ი. ართვინის რაიონის დათმობას, რომელიც წარმოადგენს დაახლოებით 400 კვ.ვერსს, ე.ი. უმნიშვნელო ნაწილს, მაგრამ იქ არის მეტად ფასეული სპილენძის საბადოები და ძანსულის სპილენძის ქარხანა.

დასაპროექტებელი გზა მიდის ჭოროხის ნაპირიდან ზევით ოლთი ჩაიამდე, შემდეგ პენიაკამდე. პენიაკთან მიმობნეული ცნობილი ქვანახშირის საბადოებიდან მდ. აგუნდიპკის გავლით მერდენეკისაკენ და იქედან ყარსისაკენ. ამ ვარიანტის უდიდესი უპირატესობა ისაა, რომ ის გაივლის ქვანახშირით მდიდარი საბადოების ტერიტორიას, რაც შეამცირებს ბაქოსთან დამოკიდებულებას. გარდა ქვანახშირისა, იქ სპილენძის მდიდარი საბადოებიცაა.

ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში მოგვიწევს თურქეთის ტერიტორიაზე 70 ვერსის გავლა, რომელიც მოიცავს 300-400 კვ. ვერსის ფართობის ტერიტორიას. ცხადია, გასათვალისწინებელია თურქების მიერ ყარსის დაკავების ფაქტი, მაგრამ სომხეთის არსებობა შეუძლებელია ყარსის დაბრუნებისა და ყარსიდან შავ ზღვამდე გზის გარეშე.

საქართველოსთან დავა არის საზღვრის ოთხ მონაკვეთზე. 1. ლორე 2. ახალქალაქი 3. ყარსის ოლქი 4. ართვინის რაიონი. ახლა დგას ლორეს საკითხი, მაგრამ ეს ტერიტორია ჩვენია. ეთნოგრაფიული რეალიები, რეალური მოსახლეობა, მოსახლეობის ნება ჩვენს სასარგებლოდაა.

ქართველები ცდილობენ ჩვენი მიწების დაკანონებას საკუთარი სახელმწიფოს სტრატეგიულ და ეკონომიკურ ინტერესებზე აპელირებით.

ართვინის საკითხზე ჩვენ უნდა ვიყოთ მოსარჩლის მდგომარეობაში – ჩვენი სახელმწიფო ინტერესების საფუძველზე. ქართველები იქნებიან მოპასუხეები, თუმცა უნდა ითქვას, რომ ართვინის რაიონში სომხების რაოდენობა არის 10-12 ათასი, ქართველი მუსულმანების რაოდენობა კი 20 ათასი.

აი ამიტომაა საჭირო ამ საკითხების ერთობლივი განხილვა.

შემდეგ. ქართველები სვამენ საქართველოსათვის ლორის საძოვრებისა (რომელიც მნიშვნელოვანია მესაქონლეობისათვის) და ალავერდის ქარხნის მნიშვნელობის საკითხს. ჩვენ შეგვიძლია დავაკმაყოფილოთ საძოვრებზე ქართველების მოთხოვნები საზღვრის სხვა, კერძოდ ყარსის ოლქის ჩრდილოეთით – საძოვრებით მდიდარ მონაკვეთზე.

საკითხი ალავერდის ქარხანაზე ჩვენთვის კარგავს მნიშვნელობას – თუ კი მივიღებთ ართვინის რაიონში ძანსულის ქარხანას.

თუ კი ბორჩალოს მაზრის ნეიტრალურ ზონაზე დავას გადავწყვეტთ სეპარატიულად, ჩვენ დავკარგავთ მომგებიან პოზიციას მოლაპარაკებაზე ჩვენთვის მნიშვნელოვანი ჭორხის მარცხენა სანაპიროსთან დაკავშირებით.

გ. ხატისიანი, თიფლისი, 1921 წელი, 10 იანვარი“

სომხეთის ცსა, ფ. 114, ს. 12, ფურც. 13,14, 15

***

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს
15 იანვარი, 1921 წელი

ნეიტრალური ზონის შესახებ სომხეთ-საქართველოს შორის გაფორმებული 1919 წლის იანვრის ხელშეკრულებით, ზუსტად განისაზღვრა ზონის მმართველობის სფეროს საკითხები. საქართველოს მთავრობამ დაკარგა სურვილი შეასრულოს ხელშეკრულების პირობები. ჩვენ ვერ დავუშვებთ ამას. უნდა მოვახდინო კონსტანტიტება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ განხორციელებული დარღვევებისა. მე არ შემიძლია სხვანაირი კვალიფიკაცია მივცე იმ ფაქტს, რომ ნეიტრალურ ზონაში გამოაცხადეთ სამხედრო მდგომარე-

ობა და ადმინისტრაცია დაუქვემდებარეთ სამხედრო გუბერნატორს. იანვრის ხელშეკრულებაში ეს არ იყო გათვალისწინებული.

უნდა მიგითითოთ სხვა ფაქტებზეც: იქაურ მაცხოვრებლებს ძალადობრივად მოაწერინეთ ხელი ნეიტრალურ ზონაში საქართველოს ხელისუფლების აღიარების შესახებ. ეს შემთხვევები იყო უზუნლიარში, ვორონცოვკაში და სხვაგან. ხელმოწერის მოწინააღმდეგენი ზოგან დააპატიმრეთ.

გვაქვს სარწმუნო ცნობები მოქალაქეთა გადაადგილების შეზღუდვებთან დაკავშირებით. ასევე ცნობილი გახდა, რომ სადგურ სანაიანში, რომელიც ნეიტრალურ ზონაშია, თქვენს მიერ სადგურის კანტორის შენობის ძალით დაკავების შემდეგ მოხსნეს ამ დაწესებულებაში არსებული ტელეგრაფის აპარატი, რომელიც სანაიანს აკავშირებდა კარაკლისთან. კარაკლისი კი სომხეთის სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზეა.

მსგავსი ქმედებანი ეწინააღმდეგება ორი მეზობელი ქვეყნის თანასწორუფლებიანი ურთიერთობის პრინციპებს ნეიტრალური ზონის მმართველობის სფეროში. ვაცხადებთ პროტესტს და ვიმედოვნებთ, რომ არსებული პრობლემები მოგვარდება.

სომხეთის სოციალისტური რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საქართველოში

ფონდი № 114, ან, 2ს., საქმ. № 22, ფურც. 80. ასევე, საქმე 26, ფურც. 54-55

****

ბაქოში თბილისიდან
ერევანი - მრავიანს,
კოპია ბაქოში ათაბეგოვს,
მოსკოვში ტერ გაბრიელიანცს.

დღეს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გადმომცა საპროტესტო ნოტა: „11 თებერვალს, ღამით, სომხეთის მხრიდან რეგულარული არმიის ნაწილებმა განახორციელეს მოულოდნელი თავდასხმა ჩვენს პოსტებზე ბეზობდალის გავლით სადგურ შაგალიზე და სოფელ შიხინზე (ბორჩალოს უეზდი). ჩემი მთავრობა ამ თავდასხმას განიხილავს, როგორც ვერაგულს. არავითარი ფაქტობრივი გარემოებით არ შეიძლება ამ აგრესიის გამართლება. ეს იმ დროს, როცა საქართველო მტკიცედ ადგას მშვიდობიანი თანამშრომლობის გზას მეზობელ რესპუბლიკასთან. ჩვენ არაერთხელ შევთავაზეთ – სადაო საკითხები გადაგვეწყვიტა და მიგვეღწია შეთანხმებისათვის – ჩვენს მიერ გადადგმული ნაბიჯების შესაბამისად. სომხეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის – ბეკზადიანის თბილისში ყოფნისას პირადი მოლაპარაკებების დროს მივაღწიეთ შეთანხმებას შევდგომოდით მოლაპარაკებას ბორჩალოს უეზდზე.

ჩემი მთავრობის სახელით გამოვხარტავ ყველაზე ენერგიულ პროტესტს და გაცნობებთ, რომ მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ამ თავდასხმის ორგანიზატორებს“

მე ვუპასუხე საქართველოს მთავრობას, რომ ველოდები ინფორმაციას. ნეიტრალური ზონის საკითხი უნდა გადაწყდეს მომავალ კონფერენციაზე მშვიდობიანი გზით. ძალისმიერი გზით ტერიტორიული საკითხების გადაწყვეტა მიუღებელია ამა თუ იმ რესპუბლიკის ცალმხრივი აქტებით. საქართველოს აქვს მიზანი – შეასრულოს თავისი ვალდებულებები და გაიყვანოს ჯარი ნეიტრა-

ლური ზონიდან. იქ არ უნდა იდგეს არავისი ჯარი. ამ საფუძველზე შესაძლებელი იქნება მომწიფებული კონფლიქტის ლიკვიდირება. გთხოვთ სასწრაფოდ ჩამაყენოთ საქმის კურსში მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტლებების შესახებ, რაც მჭირდება საქართველოსთან მეზობლური ურთიერთობებისათვის

შავერდოვი

ჩიჩერინმა წერილი ჩაიბარა 15 იანვარს, 1921.

ფონდი № 114, საქმე 26, ფურც. 82-83.

***

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს

26 იანვარი, 1921 წელი

საქართველოში, სომხეთის სსრ-ის სრულფლებიანი წარმომადგენლობის შენობაში კერძო პირებმა გიორგი და სოფიო კოტიაშვილებმა დაიკავეს ორი ოთახი, მესამე ოთახში კი დააწყეს დიასახლის ზუბალოვის კუთვნილი ავეჯი. დაწესებულებაში გარეშე პირთა ყოფნა ქმნის უხერხულობებს. ამავე დროს, სამუშაო ოთახები ესაჭიროება წარმომადგენლობას. გთხოვთ მიმართოთ შესაბამის სტრუქტურებს გამოათავისუფლონ დაკავებული ოთახები.

ფონდი № 114, ან. 2ს., საქმე 11. ფურც. 72.

****

არმენკომის დადგენილებიდან სომეხი ლტოლვილების შესახებ

1921 წლის 31 მაისი

1. სრულუფლებიან წარმომადგენლობაში დარეგისტრირებულია 1600 ლტოლვილი. მათი დიდი ნაწილი საქართველოში გადავიდნენ ყარსიდან, ალექსანდრეპოლიდან, ბაიაზეთიდან, იგდირის რაიონებიდან სომხეთ-თურქეთის1920 წლის ომის შემდეგ. ისინი საქართველოში წავიდნენ, რადგან მათი სამშობლო დაიკავეს თურქებმა.

2. ჩვენი მონაცემებით, თბილისში, ნავთლუღში, მადათოვის კუნძულზე, სადგურის რაიონში, ვორონცოვის ქუჩაზე და მდ. მტკვრის გაყოლებაზე – ვორონცოვის ქუჩიდან ნავთლუღამდე ღია ცის ქვეშ ცხოვრობს 6-8 ათასი ლტოლვილი;

3. ლტოლვილების სასურსათო მდგომარეობა კატასტროფულია;

4. მძიმეა სამედიცინო – სანიტარული მდგომარეობაც

საჭიროა მათთვის გაიხსნას დიდი საავადმყოფო, თუნდაც 100 საწოლით. ლტოლვილების დიდი ნაწილი ცდილობს წავიდეს რუსეთში, ბათუმში. ის ლტოლვილები, რომლებიც მოემართებიან სომხეთისაკენ, ითხოვენ გარანტიებსა და სასოფლო-სამეურნეო იარაღებს.

საქართველოში სომხეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლობა

ფონდი № 114, საქმე № 46 , ფურც. 51

****

საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ა. სვანიძის წერილი სომხეთის სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მრავიანისადმი:

საქათველოს რკინიგზა მთავრდება სადახლოსთან. მაგრამ სარკინიგზო მატარებლებს სადახლოდან შულავერამდე აცილებს სომხეთის მილიცია, რაც ქმნის არანორმალურ ვითარებას და წინააღმდეგობებს, რათა ქართულმა რკინიგზის მილიციამ შეასრულოს მისი ფუნქცია. მიუხედავად იმისა, რომ ლტოლვილებს ეკრძალებათ საქართველოში შემოსვლა, სომხეთიდან მუდმივად შემოდიან ისინი – იცავს რა სომხეთის სარკინიგზო მილიცია რკინიგზას ჩვენი ტერიტორიის ნაწილზე და არ იღებს არავითარ ზომებს ლტოლვილების შესაკავებლად. ასეთი მდგომარეობა ხელს წუყობს სხვადასხვა სახის ბოროტმოქმედებას კონტრაბანდის საქართველოში შემოტანასთან დაკავშირებით.

გთხოვთ გასცეთ განკარგულება, რათა საქართველოს მონაკვეთზე სომხეთის რკინიგზის მილიცია ჩანაცვლდეს ქართული მილიციით.

ამასთან, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო საჭიროდ თვლის გაირკვეს და საბოლოოდ გადაწყდეს საქართველო-სომხეთის სასაზღვრო საკითხები და ეს დაევალოს განსაკუთრებულ კომსიას, რომლის წარმომადგენლები საქართველომ უკვე დაასახელა. გთხოვთ თქვენც შექმნათ მსგავსი კომისია. იმედია თქვენი მხრიდან არ იქნება წინააღმდეგობა.

საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ა. სვანიძე,
31 ოქტომბერი, 1921 წელი
ფონდი № 114, საქმე № 26, ფურც. 98

***

საქართველოს სსრ რევოლუციური კომიტეტს
მოხსენებითი ბარათი.

საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ყველა პოლიტიკური პარტიის ინიციატივით ჩამოყალიბდა სომხების ეროვნული საბჭო საქართველოში. მათ მიერ მოძიებული საშუალებებით ხდებოდა სომხების ყველა კულტურული ღონისძიების ორგანიზება, რისთვისაც ინახავდა 120 სკოლას, დაზარალებულ სომხურ ოჯახებს, გაჭირვებულებს ეხმარებოდა სურსათით, სხვა საყოფაცხოვრებო საჭიროებებით. მან თავის ხელში თავი მოუყარა ყველა სომხურ კულტურულ დაესებულებას, ბიბლიოთეკას, თეატრს, თავის ირგვლივ გააერთიანა ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა მიმართულება.

თბილისში წითელი არმიის შესვლისთანავე სომხეთის რევკომის თავმჯდომარის სურენ ერზინკიანისა და ადგილობრივი სომეხი კომუნისტების ინიციატივით დაფუძნდა სომხების კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია „იაკულტი“-ს დროებითი კომისარიატი. სომხეთის ყოფილი ეროვნული საბჭოს ფუნქციით, რომელმაც აღრიცხა სომეხთა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ყველა ქონება საქართველოში და მიიღო ზომები მათ დასაცავად – საქართველოს რევკომის განსაკუთრებულ განკარგულებამდე.

გაცნობებთ, რა აღნიშნულის შესახებ, სომეხთა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება „იაკულტა“-ს დროებითი კომისარიატი გთხოვთ გასცეთ განკარგულება, რომ ყველა ეს დაწესებულება შევიდეს სომხეთის განათლების

სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში და ცნობილი იქნან ისინი სახელმწიფო დაწესებულებებად.

დროებითი კომისარიატი და ხელწერა

1921 წ. 16 მარტი

ფონდი № 114, ან. 2ს, საქმე 62, ფურც. 17

****

ერევანი

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს, ამხ. მრავიანს.

ტელეგრამა № 637 (1922 წ. მარტი) ერთადერთია, რომელიც მივიღე თქვენგან. საკონსულომ ბათუმში ჯერ კიდევ 27 თებერვალს შეაჩერა თავისი საქმიანობა. 13 მარტიდან იგი ლიკვიდირებულია. ყველა საქმეს და დოკუმენტს გადმოგიგზავნის კურიერი.

საკონსულოს მუშაობის შეჩერებამ ადგილობრივი თურქეთელი სომხები ჩააგდო გაურკვევლობაში. მათ არ იციან, ვის მიმართონ ადგილობრივი თუ უცხოეთის პასპორტებისათვის, რადგანაც თურქეთელი სომხები, რომელთა უმეტესობა ღარიბია, აქ ძალიან ბევრია და მათი მდგომარეობა გამოუვალია.

გთხოვთ მიგვითითოთ, როგორ მოიქცნენ ისინი, ვის მიმართონ პასპორტებთან დაკავშირებით.

ეკონომიკური წარმომადგენელი მ. კაზარიანი

ფონდი № 114, ანაწ. 2 ს.საქმე 146 , ფურც. 30

****

ბათუმში სომხეთის სსრ ეკონომიკურ წარმომადგენელს მ. კაზარიანს

ამხ. მრავიანის განკარგულებით, თურქეთის სომხები პასპორტებს მიიღებენ რსფსრ-ს საკონსულოში.

24 მარტი, 1922

ფონდი № 114, საქმე 146, ფურც. 31

ანანწერები

რუსეთის (სანკტ-პეტერბურგი) ცენტრალურ სახელმწიფო – ისტორიულ არქივში დაცული მასალების ქსეროასლები (კოლექცია)

N რიგზე	საქმის ინდექსი	საქმის დასახელება	კოდური თარიღები	ფურცლის რაოდენობა	შენიშვნა
1	2	3	4	5	6
12		ნუსხა-რუსეთის (პეტერბურგი) ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული დოკუმენტების საქართველოს შესახებ.	1811-1924	386	
13		ნუსხა-რუსეთის (პეტერბურგი) ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული დოკუმენტების საქართველოს შესახებ.	1838-1882	35	